



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკა, უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

02.07.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

12.08.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფიზიკა Physics
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების II საფეხური, მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკის მაგისტრი / Master of Physics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფიზიკა - 0533
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N161, 2012 წლის 3 ივლისი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი „ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინამორბედა „რადიოფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ბსუ-ში ფუნქციონირებს 2006 წლიდან ორი პროგრამის „რადიოფიზიკა-პლაზმის ფიზიკა“ და „ოპტიკა და სპექტროსკოპია“ გაერთიანების საფუძველზე. „რადიოფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ივლისის №161 გადაწყვეტილებით.

სამაგისტრო პროგრამა „ფიზიკა“ სამ მიმართულებაზეა დაფუძნებული, „თეორიული ფიზიკა“, „რადიოფიზიკა“, „კონდენსირებული გარემოს ფიზიკა“. სწავლების პირველ და მეორე სემესტრებში სტუდენტი დაეუფლება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად დისციპლინებს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ სტუდენტს მომავალი სამეცნიერო ინტერესი და სამაგისტრო თემა.

ძირითად კურსებს სტუდენტი გაივლის პირველი სამი სემესტრის განმავლობაში, მესამე სემესტრში სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს სპეციალობის არჩევითი კურსი 10 კრედიტის მოცულობით, ამავე სემესტრში 10 კრედიტის მოცულობით სტუდენტს საშუალება ეძლევა გაიღრმავოს კომპეტენციები თავისუფალი კომპონენტის სახით მისთვის სასურველი მიმართულებით, რომელსაც ირჩევს საუნივერსიტეტო არჩევითი კურსებიდან. სპეციალობის არჩევითი კურსები სტუდენტის მიერ შერჩეული სამაგისტრო თემის მხარდაჭერას უწყობს ხელს. სამაგისტრო თემის წინასწარი განხილვა (წინადაცვა) გაიმართება დეპარტამენტის სხდომაზე. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურისა და შინაარსის ირგვლივ შენიშვნებისა და მოსაზრებების გასათვალისწინებლად სტუდენტს აქვს მეოთხე სემესტრი. მეოთხე სემესტრის მიწურულს სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს შეკრული სახით აბარებს დეპარტამენტს, რომელიც გამოყოფს ექსპერტს

(რეცენზენტს) და გადასცემს ნაშრომს განსახილველად. ხოლო შემდეგ სტუდენტს გააქვს სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვაზე.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 2 აგვისტოს. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად უნივერსიტეტში. თუმცა, პანდემიის (COVID 19) პირობებში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შეხვედრები შედგა ონლაინ პლატფორმა „Zoom“-ის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წარმომადგენლებს. ასევე, მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული რეალური ვითარების ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტი წარიმართა საქმიან და კოლეგიალურ ვითარებაში.

● **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 2.6 მეტწილად არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან, სხვა სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია.

▪ **რეკომენდაციები**

2.6

● რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.

● რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი

კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.1 სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატიის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.

2.6 ასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.

3.2 სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ;

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- მისასაღმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.
- მისასაღმებელი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სტუდენტის ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდა სამეცნიერო სტატიად და გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.
- სტანდარტ 3.1 - ში აღნიშნული ელექტრონული პორტალის მეშვეობით ასევე შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, გარკვეულწილად დამუშავება, ლექციებზე დასწრება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა. ხაზგასმულია, რომ ელექტრომაგნიტური რხევებისა და რადიოდიამეტრიის ტალღების მიღების, გამოსხივების, გავრცელებისა და გამოყენების სფეროში შესაბამისი სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა.

დამსაქმებელთა ფართო სპექტრი აღიარებს, რომ ფიზიკის კურსდამთავრებულებს აქვთ პრობლემების გადაჭრის განსაკუთრებული უნარები, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები „ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ მრავალ პროფესიას. მაგალითად, კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში, ბათუმის საერთაშორისო საავადმყოფოში.

პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგების რელევანტურია და მიღწევადია, რაც დასტურდება პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკით, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული სწავლის შედეგის შესაბამისობას პროგრამის მიზანთან/მიზნებთან. განსაზღვრავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის გამიზნული. მაგალითად, პროგრამის მიზნების გ) პუნქტი ასახავს მაგისტრის მომზადების დონეს ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, თავდაცვისუნარიანობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ზრდის კონტექსტში.

„ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მიზნები. პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და შესაბამისად, მისი სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა “ფიზიკა” (პროგრამის მიზანი);
- ბსუ-ს მისია <https://www.bsu.edu.ge/main/page/2416/index.html>;
- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულება https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10852_1.pdf;

- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
<https://employer.bsu.edu.ge/employer.php/Statistics2/index.html?Facs%5B%5D=10&Facs%5B%5D=8&Progs%5B%5D=34>
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი
<https://employer.bsu.edu.ge/graduate.php>
- ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე:
პროგრამის ანოტაცია https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_450_1.pdf
სასწავლო გეგმა: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_450_2.pdf
- საგამოცდო საკითხები: https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_450_3.pdf
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

აღწერა და შეფასება

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია პროგრამის მიზნებთან, რაც ასახულია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგები რუკაში.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს სამივე კომპეტენციას, რომლებსაც იძენს სტუდენტი პროგრამის დასრულებისას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს ბგერითი და ელექტრომაგნიტური ტალღების კომპლექსურ ან/და ცოცხალ მატერიასთან ურთიერთქმედების თეორიული ასპექტების ღრმა და სისტემურ ცოდნას და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში; აპრობირებული და ინოვაციური მათემატიკური, სპეციფიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მეთოდების, აგრეთვე რიცხვითი და კომპიუტერული მეთოდების და სიმულაციური პროგრამული პაკეტების ღრმა და სისტემურ ცოდნას, ინტერესის შესაბამისად, კვლევის მეთოდების სისტემურ და ზოგიერთ უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას.

კურსდამთავრებულებს გამოუმუშავდებათ ტალღური ამოცანების (პროექტების) დაგეგმვის და გადაწყვეტის გზების ძიების უნარები. შეეძლება ანალიზური და რიცხვითი მეთოდების გამოყენება და „ველი-მატერია-ველი“ პროცესების პროგნოზირება და კომპიუტერული მოდელირება რეალური და რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე, კომპლექსური ან/და ცოცხალი მატერიისა და ველის ურთიერთქმედების იდენტიფიცირება, ამოცანის დასმა, მონაცემების შეგროვება, აბსტრაქტული აზროვნება, კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, და შეფასება.

აღნიშნული კომპეტენციების მიღწევას ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა განსაზღვრულია პროგრამის სტრუქტურით და პრინციპით მარტივიდან რთულისაკენ.

სწავლის შედეგების რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის გზით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (ტესტი, საშინაო დავალება, საკონტროლო წერა, გამოცდა და ა.შ), ასევე არაპირდაპირი (სტუდენტის თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასება) შეფასების მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს.

პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგების განაწილებას სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად. მაგალითად, სწავლის შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, თუ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში დადებით შეფასებას

მიიღებს სტუდენტთა 70%-ზე მეტი და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული „სამაგისტრო ნაშრომის“ დაცვისას დადებით შეფასებას მიიღებს სტუდენტთა 70% -ზე მეტი.

ბსუ-ში ფუნქციონირებს ანტიპლაგის პროგრამა Turnitin, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის გამოვლენას.

თვითშეფასების ჯგუფში გაერთიანებულია არა მხოლოდ აკადემიური პირები, არამედ, კურსდამთავრებულებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
<https://employer.bsu.edu.ge/employer.php/Statistics2/index.html?Facs%5B%5D=10&Facs%5B%5D=8&Progs%5B%5D=16&Progs%5B%5D=55>
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
<https://employer.bsu.edu.ge/graduate.php/Statistics/index.html>
- ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის №23 დადგენილება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“
https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9721_1.pdf;
- სტუდენტთა გზამკვლევი
- <https://bsu.edu.ge/main/page/2269/index.html>

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, დიპლომირებულ სპეციალისტებს, მაგისტრებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგინდეს ვადებში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად.</p> <p>შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს ენის ფლობის (B1) დონის დასადგენ ტესტირებასა და წერით გამოცდას სპეციალობაში .</p> <p>„ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.</p> <p>სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატიის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ol style="list-style-type: none"> ინფორმაცია „რადიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ბსუ-ს ვებგვერდზე. პროგრამის ანოტაცია https://bsu.edu.ge/text files/ge file 450 1.pdf სასწავლო გეგმა: https://bsu.edu.ge/text files/ge file 450 2.pdf საგამოცდო საკითხები: https://bsu.edu.ge/text files/ge file 450 3.pdf ბსუ-ს ვებ გვერდი ღია კარის დღეები https://bsu.edu.ge/main/page/13742/ https://bsu.edu.ge/main/page/11964/ https://bsu.edu.ge/main/page/12000/ https://bsu.edu.ge/main/page/9803/ https://bsu.edu.ge/main/page/9825/ ბსუ-ს ვებგვერდი საინფორმაციო ვიდეორგოლებისათვის https://bsu.edu.ge/main/video-gallery/index.html https://www.youtube.com/watch?v=zd4g9qlaqGc&feature=youtu.be ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 21 ივლისის ბრძანება №01-08/37 „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის შოთა

<p>რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატიის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. მათ შორის 70 კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს, 10 კრედიტი - სპეციალობის არჩევით კურსებს, 10 კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტს, ხოლო 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი).

პროგრამის ეს შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად ბსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდების მოთხოვნები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სილაბუსების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის შინაარსი და კურსებია ეფუძნება დარგის ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამიდან ჩანს, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევით საგნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ადმინისტრაციასთან
- პროგრამა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- სილაბუსები
- გასაუბრება დამსაქმებელთან
- დამსაქმებლის კითხვარი და ანალიზი
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის შესრულების წესი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსების შინაარსი და გასაუბრება პროგრამაში მონაწილე პერსონალთან ადასტურებს რომ სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურს; თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

ბსუ-ში ტარდება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

სილაბუსებში მითითებულია როგორც დარგის კლასიკური ლიტერატურა ასევე მასალები რომლებიც ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს. აღსანიშნავია ახალი, ქართული ლიტერატურა როელშიც თავმოყრილია დარგის მნიშვნელოვანი საკითხები ახალი მიღწევების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება ადმინისტრაციასთან
- პროგრამა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- სილაბუსები
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი

- სტუდენტების კითხვარი და ანალიზი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პედაგოგები არიან დარგის აქტიური, წამყვანი მეცნიერები, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. ასევე, წარმატებით მოიპოვებენ დაფინანსებას სამეცნიერო პროექტებისთვის. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ სამეცნიერო გრანტებში, დაესწრონ და/ან მონაწილეობა მიიღონ სემინარების, კონფერენციების და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში. სამეცნიერო ღონისძიებებში შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.

პროგრამის კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაო რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან: 5-ე საჯარო სკოლა; ფიზიკა-მათემატიკის 6-ე საჯარო სკოლა; ქართულ-ამერიკული სკოლა 'პროგრესი'; ბათუმის რესურსცენტრი; ევექსის ჰოსპიტალი; მედცენტრი;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სილაბუსების და პროგრამის გაანალიზების, ასევე პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნზე მუშაობის მეთოდი; კრიტიკული ანალიზი; პრაქტიკული მუშაობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ლექცია-სემინარი; ინტერაქტიული ლექციები; შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში; წერითი მუშაობის მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ზემოთ ხსენებული ადასტურებს, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ასევე ჩანს, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p>

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის-კულტურის წარმომადგენელი სტუდენტები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ტრადიცია იმისა, რომ გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა კულტურის სტუდენტების კულტურული და/ან სხვა საჭიროებები სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- სილაბუსები
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ყველა სასწავლო კურსის ფინალური გამოცდა 40, ხოლო შუალედური გამოცდა 20 ქულით ფასდება, ამასთან დარჩენილი 40 ქულა პროფესორ-მასწავლებლის სურვილისამებრ ნაწილდება შუასემესტრული აქტივობების შესაფასებლად, ამ მხრივ **სასურველია**, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დადგენილია შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი.

შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ:

1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები - არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდის პრაქტიკული დავალებების შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

2. ტალღური პროცესების თეორია - არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა - არ არის მოცემული რეფერატის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, ასევე დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

4. პლაზმის ელექტროდინამიკა - არ არის მოცემული შუალედური გამოცდის „ხუთი 2 ქულიან შეკითხვის“ შეფასების კრიტერიუმები და ასევე დასკვნითი გამოცდის „განმარტებებს, ცნებებს, საანგარიშო ფორმულებსა და სხვა შეკითხვებს (20 ქულა)“ - შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

5. ელექტრული რხევები - არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

6. სტატისტიკური რადიოფიზიკა - არ არის მოცემული შუალედური და დასკვნითი გამოცდის „განმარტებების და ცნებების“ და „პრაქტიკული დავალებების“ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

7. ტალღსატარები - არ არის მოცემული შუალედური გამოცდის „ხუთი 2 ქულიან შეკითხვის“ შეფასების კრიტერიუმები.

8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა - „განმარტებების და ცნებების“ და „პრაქტიკული დავალებების“ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

9. სიგნალების დამუშავება - „განმარტებების და ცნებების“ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

10. რადიო და ოპტიკური სისტემები - არ არის მოცემული შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე - არ არის მოცემული შუალედური გამოცდის „ხუთი 2 ქულიან შეკითხვის“ შეფასების კრიტერიუმები და დასკვნითი გამოცდის „განმარტებებს, ცნებებს, საანგარიშო ფორმულებსა და სხვა შეკითხვებს“ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური საფუძვლები - არ არის მოცემული შუალედური და დასკვნითი გამოცდების „განმარტებებისა და ცნებების“ შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - არ არის მოცემული შუალედური და დასკვნითი გამოცდის „განმარტებებისა და ცნებების“ და „პრაქტიკული დავალებების“ შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად **რეკომენდებულია** აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების თითოეული მეთოდების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და დეტალური რუბრიკების მითითება.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, რაც გამოიხატება საჭიროებისამებრ ტრენინგ-კურსებისა და კონსულტაციების გამართვაში.

უსდ-ში გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც ხდება ნაშრომების დაშიფვრა, რაც ხელს უწყობს შემფასებლის მხრიდან მეტ ობიექტურობას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად საჯაროდ დაცვის დროს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, არ არის დეტალიზირებული ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები, რაც აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტითა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტით სავალდებულოა, ამიტომ **რეკომენდებულია** უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ის გადის რეცენზირებას და მოწმდება პლაგიატის პროგრამის მეშვეობით, რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა. ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან დაინერგა პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა „Turnitin“, რომელიც დაინსტალირდა Moodle-ს სისტემაში, უსდ-ის აკადემიური საბჭოს № 06-01/50 და №06-01/71 დადგენილებებით განსაზღვრულია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების სტანდარტები.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები მეტწილად არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია

ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

პროგრამის დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დადასტურდა პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდანაც. აპელაციის მექანიზმის მიხედვით, შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ის წერილობით საჩივარს წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, რომელიც რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს. იმ შემთხვევაში, თუ საგნის ლექტორი შეფასებას ობიექტურად მიიჩნევს, ხოლო სტუდენტი კვლავ არ დაეთანხმება მის პოზიციას, დეკანს უფლება აქვს საჩივარი განსახილველად გადასცეს კომისიას.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება №23 - გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილებები № 06-01/50 და №06-01/71 - პლაგიატის პროგრამისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების

შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.

- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს. ამასთან, სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაცია ეხმარება სტუდენტებს სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ პროგრამის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. აღნიშნული ოფისი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები CV-ის შედგენისა და გასაუბრების ტექნიკების შესახებ, ასევე იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. ასევე უნივერსიტეტი რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ამ პროცესში აქტიურად გამოიყენება მულტიფუნქციური ელექტრონული პორტალი, ინტერვიუს დროს სტუდენტის მხრიდან აღინიშნა, რომ სწორედ აღნიშნული სერვისის საშუალებით დასაქმდნენ. აგრეთვე აღნიშნული სამსახური ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებს.

ბსუ-ის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით კი სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ, ასევე მიმდინარე სოციალური პროგრამების, სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, კონკურსების, სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი წრეების არსებობისა და ბსუ-ში არსებული სხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი თუ სამომხმარებლო რესურსების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური პორტალის საშუალებით ონლაინ რეჟიმში სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია, სტუდენტური პორტალი გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა, **რაც მისასაღმებელი პრაქტიკაა.**

უსდ-ში სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახდენს ინფორმაციის მოძიებას და დამუშავებას სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, თანამშრომლობით დაინტერესებული სხვადასხვა ორგანიზაციის შემოთავაზებების შესახებ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, ასევე ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც „ერასმუს+“ის საერთაშორისო მობილობებში, ასევე სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტის გაცვლით პროექტებში. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი 2017-2018 სასწავლო წლებში „ერასმუს+“ის საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სწავლობდა ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის ინჟინერიის სკოლაში. ასევე პროგრამის სტუდენტმა 2019 წელს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მონაწილეობა მიიღო 15-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე „Machines. Technologies. Materials“.

კურიკულუმს მიღმა სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტი ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს. ამასთან, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, ასევე არსებობს სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წახალისების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სადამოს საათებში, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს სწავლისა და დასაქმების შეთავსებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება;

- ბსუ-ს ფიზიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პირების საერთაშორისო აქტივობები 2012-2020 წლებში
- სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის სამუშაოს აღწერილობა;
- ფიზიკის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პირებისა და სტუდენტების საზოგადოებრივი აქტივობების ნაწილი, რომელიც განხორციელდა 2012-2020 წლებში;
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი;
- სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი წესი;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პროგრამის აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების ცხრილი;
- სტუდენტური პორტალი - <https://portal.bsu.edu.ge/>;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელი პრაქტიკაა სტუდენტური პორტალი, რომელიც გამოირჩევა თავისი მულტიფუნქციური შესაძლებლობებით, რითაც მარტივდება სტუდენტური სერვისებით სარგებლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
 მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი. ასევე, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ბსუ-ს დოქტორანტი (მხოლოდ სასწავლო კომპონენტის შესრულების შემდეგ).

სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევა ხდება სტუდენტის მიერ იმ საკვლევი თემატიკიდან, რომელსაც ფიზიკის დეპარტამენტი წარუდგენს მაგისტრანტს ასარჩევად, ან სტუდენტის მიერ შერჩეული თემის მიხედვით სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში. ასევე აღსანიშნავია, რომ საჭიროების შემთხვევაში მაგისტრანტს შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც შესაძლოა არ იყოს აკადემიური პირი და წარმოადგენდეს მოწვეულ სპეციალისტს, მაგრამ აუცილებელია ჰქონდეს კვლევითი საქმიანობის საკმარისი გამოცდილება, გამოქვეყნებული ჰქონდეს სტატიები მაღალრეიტინგულ ჟურნალებსა და სამეცნიერო ფორუმების კრებულებში.

უსდ-ში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება ბსუ-ის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილებით და სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელობის პროცესს მთელი სემესტრის მანძილზე. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს სტუდენტთან კვლევის დიზაინისა და კვლევის მენეჯმენტის საკითხების ირგვლივ, სამუშაოს ნაწილს კი სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათების ხარჯზე. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს დანამდვილებით არ ჰქონდათ ინფორმაცია რომელ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე აქვს უნივერსიტეტს წვდომა, შესაბამისად **სასურველია**, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდა სამეცნიერო სტატიად და გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში, რაც **მისასალმებელი პრაქტიკაა**.

შესაბამისად, ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის

<p>წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი და დაცვის პროცედურები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №111 დადგენილება; • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; • დაცული სამაგისტრო ნაშრომები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ;
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • მისასალმებელი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სტუდენტის ნაშრომი ხელმძღვანელის კონსულტაციის შედეგად მოდიფიცირდა სამეცნიერო სტატიადა და გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანამშრომელთა CV-ების, თანდართული დოკუმენტაციისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალთან უშუალოდ შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პერსონალის რაოდენობა არის 11. მათ შორის 6

<p>აფილირებული აკადემიური (აფილირებული პროფესორი - 1, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 5). აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (6 აკადემიური/5 მოწვეული) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.</p> <p>პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, მათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, სამეცნიერო საგრამტო პროექტებში ჩართულობითა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით.</p> <p>პერსონალის დატვირთვას არეგულირებს უნივერსიტეტის შესაბამისი აქტები (რექტორის ბრძანება, დეკანის წარდგინება, დეკანის სამსახურეობრივი ბარატი).</p> <p>პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; ○ პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები; ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. 	
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება.</p> <p>ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკვლევა პროგრამის თითოეულ საგანთან და ამ საგნის ლექტორთან მიმართებაში. გარდა ამისა, ფასდება ლექტორის ჯგუფების აკადემიური მოსწრება და სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ ლექტორთან მუშაობის პროცესში.</p> <p>ბსუ-ს ელექტრონულ ბაზაში ხდება პერსონალის ყოველწლიურად ამზადებს გავლილი წლის სამეცნიერო მუშაობის ასახვა და ანალიზი. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.</p> <p>ბსუ ხელს უწყობს მისი პერსონალი სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში ჩართულობას, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და აფინანსებს სამივლინებო ხარჯებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და პუბლიკაციებისთვის საჭირო ხარჯებს.</p> <p>პერსონალის CV ადასტურებს, რო შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისას.</p>	
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის კონტროლის ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ანალოგიური პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ○ 	
<p>რეკომენდაციები:</p>	
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>	
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>	
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>	
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>	

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. არის უკაბელო ინტერნეტი.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზითა და ბიბლიოთეკით, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის პროგრამით განსაზღვრულ საგნების სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა როგორც წიგნების, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს აქვთ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ ადგილზე დააკვირონ მათთვის საჭირო გვერდები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია Scopus-ის ბაზა, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე გამოცემებს.

უნივერსიტეტში არის კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები სადაც სტუდენტებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც ჯგუფში ისე ინდივიდუალურად.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს 5 სასწავლო ლაბორატორია, რომელიც ბსუ-ს ფიზიკის დეპარტამენტთან არსებობს. ესენია:

1. **მექანიკის ლაბორატორია** - უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას შემდეგი უნარებით: მექანიკაში ექსპერიმენტული სამუშაოების დაგეგმვის, ჩატარების და ანალიზის უნარი, ექსპერიმენტის ცდომილების განსაზღვრა; თეორიული და ექსპერიმენტული მონაცემების სინთეზის და დასკვნის უნარი მექანიკური პროცესებისა და/ან მოვლენების შესახებ.
2. **მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორია** - უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას შემდეგი უნარებით: მოლეკულური ფიზიკისა და თერმოდინამიკის კანონების პრაქტიკაში გამოყენების უნარი კონკრეტული ამოცანების ამოხსნისას; გამზომი ხელსაწყოებისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის სათანადოდ გამოყენების უნარი; ექსპერიმენტის ორგანიზებისა და ჩატარების უნარი; შედეგების დამუშავებისა და ანალიზის უნარი.
3. **ელექტრომაგნეტიზმის ლაბორატორია** - ლაბორატორია უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას შემდეგი უნარებით: ელექტრომაგნეტიზმის თეორიისა და კანონების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; ელექტროგამზომი ხელსაწყოების (მულტიმეტრები, ოსცილოგრაფები, კვების მართვადი წყაროები, სიგნალების გენერატორები და სხვა.) გამოყენების უნარი.
4. **ოპტიკის ლაბორატორია** - უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას შემდეგი უნარებით: ოპტიკური მოვლენების ირგვლივ თეორიული და ექსპერიმენტალური

მონაცემების მოძიების, შეგროვების, ანალიზის, სინთეზის, დამუშავებისა და სათანადო დასკვნის უნარი; ოპტიკური და ოპტიკურ-ელექტრონული ხელსაწყოების, ფოტომეტრული ხელსაწყოების, ოპტო-სამედიცინო ტექნიკის, ლაზერის, კავშირის ოპტიკური სისტემების, გარემოს დაბინძურების ეკოლოგიური მონიტორინგის კომპლექსური ოპტიკური სისტემების გამოყენების უნარი.

5. **რადიოფიზიკის ლაბორატორია** - უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას შემდეგი უნარებით: რადიო სიგნალებისა და რადიოელექტრონული მოწყობილობების, სიგნალების დამუშავების, სპექტროსკოპიის, სიგნალების გენერირების, გაძლიერების, მოდულაცია-დემოდულაციის და სხვა. ირგვლივ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; საკვლევი ობიექტის შესახებ (ატმოსფერო, წყალი, ცოცხალი გარემო, ფლორა და სხვა) ექსპერიმენტული მონაცემების მოძიება, შეგროვება, ანალიზი, სინთეზი და დამუშავება; პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი კვლევის რადიოფიზიკური მეთოდებით. ლაბორატორიაში 2006 წლიდან დღემდე სრულდება სამეცნიერო საგრანტო პროექტები, კერძოდ: რადიოფიზიკის ლაბორატორიის ბაზაზე შესრულდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 3 მსხვილბიუჯეტისანი სამეცნიერო საგრანტო პროექტი, საგრანტო პროექტების ფარგლებში ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით.

ფიზიკის დეპარტამენტის ლაბორატორიებში, საგრანტო პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი თანამედროვე, ციფრული ტექნიკა:

1. ციფრული ოსცილოგრაფი, Ajilent, Oscilloscope, USB modular-U2702A,200MHz;
2. რთული და ნებისმიერი ფორმის სიგნალების გენერატორი, Agilent, Function/arbitrary waveform generator U2761A, 20MHz;
3. მრავალფუნქციური კვების წყარო წყარო და გამზომი ბლოკი, Agilent, USB modular source measure unit - U2722A, 3-channels, +/-20V, +/-120Ma;
4. კომუტაციური მატრიცა, Agilent, Switch Matrix, USB modular-U2751A;
5. სპექტრალური ანალიზატორი CW-Instek GSP-930;
6. საკომუნიკაციო სისტემა (სინთეზატორი) CW-Instek GRF-1300;
7. ორ არხიანი ოსცილოგრაფი CW-Instek GDS-1152A-U, 150 MHz;
8. პროგრამირებადი სიგნალების გენერატორი CW-Instek AFG-3051;
9. სპექტრორადიომეტრი StellarNet SpectroRadiometer Systems Black Comet-C (190-850nm);
10. 2 ერთეული ციფრული მულტიმეტრი;
11. მინიატურული ოპტიკურ-ბოჭკოვანი სინათლის წყარო ცვლადი შუქდიოდებით. შეიცავს შუქდიოდთა კომპლექტს. შემადგენლობაში 6 შუქდიოდი 390 ნმ, 470 ნმ, 502 ნმ, 590 ნმ, 60 ნმ და თეთრი შუქდიოდი - **SL1-LED**
12. ულტრაიისფერი შუქდიოდები ალგზნების ტალღის სიგრძეებით 295 ნმ, 345ნმ და 365 ნმ - **SL3**
13. CR2 კოსინუს ბუდე ულტრაიისფერი-ხილული-ინფრაწითელი დიაპაზონისათვის, დიამეტრით 1/4 დუიმი და 180° ხედვის არით - **CR2**
14. მინიატურული დეიტერიუმის ჰალოგენური ნათურა ულტრაიისფერი-ხილული-ინფრაწითელი დიაპაზონისათვის, 200-1700 ნმ, ჩამკვითა და კონტროლის ნათურით, აშშ-ს ფარგლებს გარეთ საჭიროებს 12 ვოლტიან ადაპტერს. სინათლის

<p>წყარო შეიცავს ინტეგრირებულ, სტანდარტულს 1 სმ-იანი კუვეტას დამჭერს და კოლიმირებად ობიექტივს (ლინზებს) SMA-905 ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერფეისით - SL5-CUV</p> <p>15. ინტეგრირებული კუბი (სინათლის სფერო), 2 დუმიანი კუბი 5/8 დუმიანი შემავალი პორტით, 1 SMA ოპტიკური გამომავალით, მანსელას თეთრი საფარით - IC2</p> <p>16. Y-ფორმის კაბელის განშტოება, 0.5 მეტრი, 4 SR და 3 NIR ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი იერთებს SL1+SL3 ნათურებს - F400YBNIRUVSR</p> <p>17. ზონდი ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონისათვის. 7 ერთის ირგვლივ 600 მკმ-იანი ბოჭკოთი - R600-8-UVVIS-SR</p> <p>18. კუვეტას ოპტიკურ-ბოჭკოვანი დამჭერი SL1-LED ამგზნები ნათურებისათვის, 2 კოლიმატორული ლინზით ფლოუორესცენციის გასაზომად. F600Y ბოჭკო ორმაგი მიერთებისათვის - CUV-F</p> <p>19. პორტატიული ღნს სისტემა. ლაზერულ ნაპერწკლური სპექტროსკოპული სისტემა. მოიცავს 25 მჯ 4 ნწმ იმპულსურ 1.06მკმ, 13ც სიხშირის Nd-YAG ლაზერს, 2x2x3 დუმი ზომის ნიმუშის კამერას და ოპტიკის წამკითხვავ მიკროკონტროლიორს, რომელიც 9 ოპტიკურ არხამდე მხარდაჭერის საშუალებას იძლევა. სინქრონიზაციის მოდული გასაღებით, ინტერფეისული სადენები, კვების ადაპტერი და მყარი ჩემოდანი. პროგრამული უზრუნველყოფა SpectraWiz სპექტრების საიდენტიფიკაციო ბაზით, რომელიც უზრუნველყოფს ელემენტური ანალიზის შესაძლებლობას. ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენი ნიმუშის კამერის შესაერთებლად სპექტრომეტრთან. სპექტრომენტრის პარამეტრული განახლების შესაძლებლობა 8 დამატებით არხზე, კომპიუტერული ინტერფეისი USB-2. შესაძლებელია გამოყენებული იქნას 4 LSR (ღნს სტანდარტული) და 8 LHR (მაღალი გარჩევისუნარიანი) სპექტრომეტრები - PORTA-LIBS-SYSTEM</p> <p>20. BlueWave სპექტრომეტრი 200-400 ნმ, 2400გ/მმ მესერი, დამონტაჟებული 14მკმ ზომის ხვრელით - LSR-UV2</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის ფუნდამენტურ მეცნიერებებზე ხელშეწყობა, ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება არის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი. რაც თავისთავად მოიაზრებს სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას და მის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, პროგრამის დაფინანსების მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დამტკიცებული პროგრამის ბიუჯეტში სემოსავალი შეადგენს 21825600 GEL-ს, ხოლო ხარჯი 21678640 GEL-ს. პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება სტუდენტების გადასახადებისაგან..</p> <p>ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვთვლით რომ პროგრამის მდგრად დაფინანსებას საფრთხე არ ემუქრება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკით (დამტკიცებული ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს #06-01/91 დადგენილებით). ასევე, შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი რომელშიც გაწერილია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობა, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგი და მუდმივი განვითარება.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

შიდა ხარისხის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს გამოკითხვებს, სასწავლო პროცესზე დასწრებას, რესურსების (ლაბორატორიული აღჭურვილობის, ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების არსებობის, და სხვ) არსებობის/საჭიროების მონიტორინგს და ა.შ.; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახდენს გამოკითხვების ანალიზს, რომლის საფუძველზე შეიძლება ცვლილებები განხორციელდეს პროგრამაში - სწავლება/სწავლის მეთოდები, ლიტერატურა, სასწავლო კურსის შინაარსი. ასევე ყურადღება ექცევა სტუდენტების შეფასებას - (გადახრას გაუსის განაწილებიდან. არსებობის შემთხვევაში ხდება უფრო ჩარმავებული კვლევა) -კვლევის ანალიზით მიღებული შედეგები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან ასევე წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და შემდეგ აკადემიურ საბჭოს ანგარიშის სახით.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობა სასწავლო მასალის, სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში; სასწავლო პროცესის მონიტორინგი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; სამეცნიერო ღონისძიებებსა და მათ ორგანიზებაში მონაწილეობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა; სამეცნიერო ნაშრომების ხარისხობრივი ანალიზი; სამეცნიერო პროექტებში დოქტორანტებისა ან/და მაგისტრანტების ჩართვა; საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო სემინარების ჩატარება; სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვ.; შემუშავებულია ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია აქტივობები და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროსაც გამოჩნდა რომ პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების, ჩატარებული კვლევების ანალიზის, პროგრამის განვითარების პროცესში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინების მიზნით ხდება კურიკულუმში და მის კომპონენტებში, მათ შორის სწავლება-სწავლის მეთოდებთან, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმებთან, ლიტერატურასთან, წინაპირობებთან და ა.შ. დაკავშირებით საჭირო ცვლილებების განხორციელება.

პროგრამის განვითარებისთვის შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, აგრეთვე კურიკულუმის კომიტეტი. პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში აქტიურად იყო ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შემუშავებული მასალები/ პროგრამა წარედგინება კურიკულუმის კომიტეტს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს და მისი მიმართვის შემდეგ აკადემიურ საბჭოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;

<ul style="list-style-type: none"> ○ ჩატარებული კვლევები ○ პროგრამა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეფექტიანად ხარისხის შიდა მექანიზმების განხორციელება - მათ შორის, გამოკითხვების ჩატარება, გარკვეულწილად დამუშავება, ლექციებზე დასწრება, პერსონალის შეფასება, სტუდენტებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდება.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>გარე შეფასების მექანიზმებია-ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები გაითვალისწინება პროგრამის განვითარებისას და განხორციელებისას,</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განსავითარებლად ასევე გამოიყენება დამსაქმებელთა შეფასებები. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა “ფიზიკის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, სწავლის და სწავლების მეთოდების განხილვა. პროგრამის განვითარებისას გათვალისწინებული იყო მათი მოსაზრებები.</p> <p>პროგრამები შეფასებულია გარე შემფასებლების მიერ - აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკის პროგრამის ხელმძღვანელის და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენლების მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გარე ექსპერტების შეფასებები ○ დამსაქმებელთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ○ პროგრამა ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p>

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც მოიცავს სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს. “ფიზიკის” სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტური განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობასა და მონიტორინგს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია გამოკითხვა. გამოკითხვა ტარდება დაწესებულების მიერ შემუშავებული ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომლის გამოყენებით შესაძლებელია კომენტარის გამკეთებელი სტუდენტის დონეზე უკუკავშირის მიწოდება (გამოკითხვები ანონიმურია და უკუკავშირიც ცხადია ჯგუფთან ან არაიდენტიფიცირებულ რესპოდენტთან ხდება). გამოკითხვის შედეგების ანალიზი ჩანს სტუდენტების პორტალზეც. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, თუ მათ რამდენიმე წლის წინ გამოკითხვაში მონაწილე დაახლოებით 10 % სტუდენტი ჰყავდათ (აქტიური სტუდენტებიდან), დღევანდელ დღეს გამოკითხვაში აქტიური სტუდენტების დაახლოებით 30% მონაწილეობს, რაც გამოწვეულია უპირველესად იმ ფაქტორით, რომ სტუდენტებმა დაინახეს რეაგირების მექანიზმის არსებობა მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე.

აღნიშნულ ელექტრონულ პორტალზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების რეგისტრაცია და მათ გამოკითხვასთან ერთად, ხდება დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონტროლდება შეფასებების დროულობა, შეფასებასთან დაკავშირებული უკუკავშირი (რომელიც პორტალის საშუალებით სავალდებულოა. კომენტარის გარეშე პედაგოგი შესრულებას ვერ დაასრულებს).

სალექციო პროცესის მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება ლექციებზე დასწრება. დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის შემდეგ ელექტრონულ პორტალზე ჩაშენებული შესაბამისი “ლილაკის” მეშვეობით შესაბამისი ავტორიზაციის მქონე პირს/პირებს შეუძლია შეუერთდეს სალექციო პროცესს და შეაფასოს იგი.

აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ორი მიმართულებით - აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობით - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პორტალი, რომელზეც პერსონალი ავსებს წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს და ტვირთავს დამადასტურებელ დოკუმენტაციას. შეფასება ხორციელდება ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესით განსაზღვრული პირების მიერ კვლევების შედეგების წარდგენა ხდება ფაკულტეტის საბჭოზე და წამოჭრილი საკითხების გათვალისწინება ხდება პროგრამის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჩატარებული კვლევები

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დალაქიშვილი *გ. დალაქიშვილი*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჯოჯუა *ნ. ჯოჯუა*

სახელი, გვარი, ხელმოწერა ავთანდილ თავხელიძე *ავთანდილ თავხელიძე*

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა გიგაური *ნიკა გიგაური*